პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

წელიწადი მეორე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის კომიტეტის და სრულ. საქარ. მ., გ., წ.-არმ. და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ორგანო.

რედაქცია:
თბილისი, კრუზენშტეინის ქ. № 4.
რედაქციის მიღება საქმისათვის ყოველდღე გარდა კვირა უქმეებისა დილის 9—2 ს. ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14—76 მდივნის № 19 საერ. №

მთავარი კანტორა:
ტბილისი, რუსთაველის პრ., № 24 მე 2 სართული).
ხელის მოწერის თვიური ფასი შემდეგი: პარტიულ ორგანიზაციებისა და პროფკავშირებისათვის მიტანით: ქალაქში—140 ათასი მანეთი, პროვინციაში—180 ათ. მ. ყველა დანარჩენ ხელის მომწერთათვის მიტანით: ქალაქში 200 ათ. მ. პროვინციაში 240 ათასი მ. განცხადებ— 10 ათ. მ. ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 300 ათასი მ. ტელეფონის № კანტორისა № 5—43.

ფასი 10,000 მან.
პროვინციაში 12,000 მან.

№ 138 ოთხშაბათი, 21 ივნისი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი ოთხშაბათი, 21 ივნისი 1922 წ. № 138

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის მუშებო, წითელ-არმიელებო და ყველა მშრომელნო!
აირჩიეთ საბჭოში კომუნისტები.

მბეჭდავთა კავშირის საარჩევნო კრების გამო, ჩვენი გაზეთის დღევანდელი № გამოდის შემოკლებით.

საქართველოს კომპარტიის კონფერენცია

ამა წლის ივნისის 25-ს მოწვეულია პირველი პარტიული კონფერენცია.

დღის წესრიგი:

1) მოხსენება მე 11 ყრილობაზე და საქართველოს კომპარტიის მორიგი ამოცანები;
2) მოხსენება გენუის კონფერენციის შესახებ;
3) მოხსენებები ადგილებიდან;
4) მუშაობა პროფკავშირთა შორის;
5) მუშაობა ახალგაზრდათა შორის;
6) საორგანიზაციო აღმშენებლობა;
7) საფინანსო პოლიტიკა;
8) მიმდინარე საქმეები.

ცეკას სეკრეტარიატი.

ხუთშაბათს, 22 ივნისს, საღამოს 5 საათზე, პროფკავშირის საბჭოს დიდ დარბაზში (შესავალი ბარიათინის ქუჩიდან) შესდგება

პროფკავშირთა საბჭოს პლენუმის გაფართოებული სხდომა

პროფესიონალურ კავშირების ცენტრალურ გამგეობის, ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების და ადგილობრივ კომიტეტების მონაწილეობით.

დღის წესრიგი:

1) კავშირებში საღამოს მუშაობა.
2) მუშათა დასასვენებელი სახლები.
3) მუშათა სახლი.
4) მიმდინარე საკითხები.

ს. პ. კ. ს. პრეზიდიუმი.

3—1

კომუნისტები იმარჯვებენ

ხშირი ყრილობები, კრებები და არჩევნები ჩვეულებრივ იწვევს ამომრჩეველებში ინტერესის განელებას, ინდიფერენტიზმს.

ჩვენში სხვა და სხვა ხასიათის კრებები და არჩევნები ძალიან ხშირი მოვლენაა, მაგრამ მშრომელ მასსას არ ეტყობა ეს უხალისობა და ინდიფერენტიზმი, რასაც ამტკიცებს ამ ჟამად მიმდინარე, ქალაქის საბჭოს არჩევნებიც. დღემდე მიღებული ცნობებით, კრებებზე ცხადდება ამომრჩეველ მშრომელთა დიდი უმრავლესობა (80—95 პროც.) და მხურვალე მონაწილეობას იღებს არჩევნებში.

ეს გარემოება მოწმობს პროლეტარიატის პოლიტიკურ სიმწიფეს, მის დაუშრეტელ ენერგიას და სურვილს, აქტიური და შეგნებული მონაწილეობა მიიღოს ცხოვრების მართვა გამგეობასა და აღმშენებლობაში. პროლეტარიატს სავსებით აქვს გათვალისწინებული, რომ ეს სოციალისტური აღმშენებლობა შეიძლება იყოს ნაყოფიერი და მიმდინარეობდეს სწორი გზით მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მასში მასსიურად ჩაებმება იგი და თავის მაქსიმალურ კოლექტიურ შემოქმედებას გამოიჩენს.

ამიტომაც მშრომელი მასსა, მიუხედავად ეკონომიური კრიზისით შექმნილ უკიდურეს გაჭირვებისა, დღესაც იჩენს უდიდეს ინტერესს არჩევნებისადმი, რათა გაიყვანოს თავისი ინტერესების ჭეშმარიტი დამცველები, რომელნიც მოახერხებენ სწორედ ამ კრიზისის, ეკონომიური ნგრევის დაძლევას და მუშათა კლასის გამოყვანას იმ მძიმე მდგომარეობიდან, რომელშიაც იგი ჯერ კიდევ იმყოფება.

ვინ არიან ეს, პროლეტარიატის ინტერესების დამცველები, რომელთაც იგი ანდობს თავის საქმეების მოწყობას და წარმართვას, მუშაობის მისი კეთილდღეობის შესაქმნელად?

მთელმა მშრომელმა მასსამ იცის, რომ ასეთები არიან მხოლოდ კომუნისტები, კომუნისტური პარტიის კანდიდატები. მუშათა კლასი არა ერთხელ დარწმუნებულა თვალ-საჩინოდ, რომ მხოლოდ კომუნისტები არიან მისი საქმისათვის თავდადებულნი. განა, სხვას რო თავი დავანებოთ, კომუნისტებისაგან შემდგარმა ქალაქის საბჭომ, თავის ნახევარ წლის ფრიად მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი მოღვაწეობით ეს ცხადად არ დაამტკიცა!

თბილისის პროლეტარიატი ასეთ მუშაობას კარგად ხედავს და აფასებს. ამიტომ მიმდინარე არჩევნებშიც ის სავსებით უჭერს მხარს კომუნისტურ პარტიას და მისი კანდიდატები გაყავს საბჭოში. ამას ადასტურებენ ჯერ-ჯერობით მიღებული ცნობები არჩევნების შედეგების შესახებ; ამას, ეჭვი არ არი, დაადასტურებს არჩევნების შემდეგი მსვლელობაც.

ამგვარად, ჩვენი პროლეტარიატი ერთხელ კიდევ ააშკარავებს თავის ნებისყოფას და საქვეყნოდ აცხადებს, რომ მას სურს ბრძოლა და მუშაობა კომუნისტურ პარტიასთან ხელიხელჩაკიდებული და მის ხელმძღვანელობით. ამით ის, როგორც ეს არა ერთხელ ცხადუყვია საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მომენტიდან, სასიკვდილო ლახვარს სცემს მენშევიკებს და ყველა მათთან მყოფთ, რომელნიც დღევანდლამდე უსირცხვილოდ გაიძახიან, რომ თითქო მუშათა კლასი წინააღმდეგი იყოს კომუნისტების, საბჭოთა წყობილების, და მხარს უჭერდეს მენშევიკებს და მათ „დემოკრატიულ სამოთხეს".

ამ სიცრუის საუკეთესო გაბათილებაა, სხვათა შორის, ეხლანდელი არჩევნებიც, რომლებშიაც პროლეტარიატი არ აჭაჭანებს არც ერთ მის მტერს და ორგულს, ბურჟუაზიის არც ერთ აგენტს. სასიკვდილოა ასეთი განაჩენი ამ, მუშათა კლასის მოღალატეებისათვის. და უდიდესია ის ნდობა, რომელსაც იგი უცხადებს ჩვენს პარტიას.

და ეჭვის შეტანაც არ შეიძლება, რომ ახალი კომუნისტური საბჭო ამ იმედს სავსებით გაამართლებს და მთელი თავისი ძალღონით გააგრძელებს ქალაქის მეურნეობის აღორძინების და მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეს, რასაც ასე ნაყოფიერად ეწეოდა ძველი საბჭო.

არჩევნები თბილისის საბჭოში

მთავარ სახელოსნოების მუშა მოსამსახურეთა შორის 19 ივნისს მოხდა კრებას თავმჯდომარეობდა ამხანაგი საბაშვილი, კრებას დაესწრო 1600 კაცი.

მომხსენებლათ საბჭოს არჩევნების შესახებ გამოვიდა ამხ. ფ. მახარაძე.

მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

მთავარ სახელოსნოების და დეპოს მუშების საერთო კრებამ, მოისმინა რა ამხ. ფილიპე მახარაძის მოხსენება საბჭოს არჩევნების შესახებ და ამხ. გოლდბაუმის ინფორმაცია ქალაქის აღმასკომის მოღვაწეობის შესახებ, დაადგინა: ქ. თბილისის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის მოღვაწეობა იცნოს დამაკმაყოფილებლად და ავალებს მომავალ ქალაქის აღმასკომს ამგვარისავე ენერგიითა და სიმტკიცით დაიცვას მუშათა კლასის ინტერესები. საერთო კრება სავსებით უერთდება საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის ნაკაზს ახალი საბჭოისას ქ. თბილისის მუშათა და გლეხთა დეპუტატებისას და გზავნის ამ საბჭოში კომუნისტებს და პატიოსან უპარტიოებს, რადგანაც მას სწამს, რომ ისინი თავდადებულად იდგომებიან მუშათა და გლეხთა ინტერესების სადარაჯოზე.

ერთხმად მიღებული იქნა შემდეგი სია საბჭოს დეპუტატებისა: **1. ფ. მახარაძე, 2. სერ. ქავთარაძე, 3. პ. საბაშვილი, 4. სტეფანე ზაქრაძე, 5 გიორგი რთველაძე, 6 იაკობ კარეტკოვი, 7. იონკიმ გაგვა, 8 დიმიტრი თაქთაქიშვილი, 9 ალექსი პოპოვი, 10. აბრამ გოლდბაუმი, 11. ვლადიმერ ქავთარაძე, 12. ნიკოლაევი** (უპარტიო), **13. ჭანტურია** (უპარტიო), **14. დავით ფანცულაია, 15. დავით ხუბულური, 16. ლომიძე** (კომ. ახალგაზ. კავშირის წევრი).

მათ კანდიდატებათ: 1) ისაია გალპაგერი, 2) გიორგი ფირცხალავა, 3) სიდოროვის ქალი.

სარაიონო საარჩევნო კომისია.

მე-3 რაიონში.

არჩევნები დაიწყო ორშაბათიდან პირველი წარმოებანი, სადაც ჩატარებულ იქნა არჩევნები იყვნენ თამბაქოს ქარხნები—„მირ", „კავკაზ" და „სალვე". რაიონული კომიტეტის წარმომადგენლის მოხსენების შემდეგ, კრებამ ერთხმად აირჩია თავის წარმომადგენლათ საბჭოში **მუშა-კომუნისტი—ამხ. არიზჯანოვი.**

იმავ დღეს არჩევნები მოხდა მე-3 რაიონის პურის მცხობელებში, წისქვილებისა და სახალხო სასურსათო კომისარიატის საწყობის მუშათა შორის. ამორჩეულ იქნენ **კომუნისტები შახბუდაგოვი, კონჩაკი და დავიდოვი.** მათ კანდიდატებათ—**უპარტიო ხულაძე და კომუნისტი პეტროვის ქალი.**

შემდეგ არჩევნები მოხდა საქართველოს კომუნისტური პარტიის და კომუნისტ ახალგაზრდობის კავშირის რაიონულ კლუბებისა და სასადილოებისა. ყველა ამ ჩამოთვლილ რაიონებიდან არჩეულ იქნა დეპუტატათ ამხ. **გაიგ ადამიანი** (ახალგაზრდობის კომკავშირის მე-3 რაიკომის მდივანი).

ორშაბათსავე მოხდა არჩევნები სასურსათო მაღაზიის საქონლის საწყობის მუშებისა. დეპუტატათ არჩეულ იქნა **კომუნისტი ამხ. ჯანგველაძე** და მის კანდიდატათ ახალგაზრდობის კომკავშირის წევრი **ქრისტეფორე ვარუნციანი.**

მე-4 რაიონი.

მბეჭდავთა კავშირში.

მბეჭდავთა საერთო კრებას, სამშაბათს დილით, ამომრჩეველთა საერთო 900 კაციდან, დაესწრო 700 მუშა. საბჭოში აირჩიეს კავშირის კომფრაქციის მიერ წამოყენებული სიით შემდეგი ამხანაგები:

ბოლქვაძე ვანო, ბერბერაშვილი ვანო, ტარაკანოვი, იაშვილი, ნიკიტინი და ტოროტაძე (ეს უკანასკნელი მემარცხენე სოც.-ფედ.).

ტრამვაის პარკის მუშა-მოსამსახურეთა შორის

შესდგა კრება. დაესწრო 808 კაცი; დღის წესრიგი:

1. მოხსენება ამხ. კევორკიანისა ქ. თბილისის მუშათა და წითელ-არმიელთა დეპუტატების საბჭოს არჩევნების შესახებ.

2. საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის ნაკაზი.

კრებამ მოისმინა ამხ კევორკიანის მოხსენება ქალაქ თბილისის მუშათა და წითელ-არმიელთა დეპუტატების საბჭოს არჩევნების შესახებ და ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „მოისმინა რა ამხ. კევორკიანის მოხსენება მიმდინარე მომენტზე ქ. თბილისის მუშათა და წითელ-არმიელთა დეპუტატების საბჭოს ხელ-ახალ არჩევნებთან დაკავშირებით, ტრამვაის პარკის მუშა მოსამსახურეთა საერთო კრება აღნიშნავს: 1. რომ იმ დროს, როდესაც მთელი ქვეყნის მუშები სდგანან უდავო ფაქტის წინაშე მუშების გამოფხიზლებისა და 2 და 2 ნახევარ ინტერნაციონალიდან ჩამოშორებისა, რომელიც ღალატობს მთელი მუშათა კლასის ინტერესებს და რომელიც ეწინააღმდეგება მუშათა ერთიან ფრონტს. 2. რომ, როდესაც საქართველოს საბჭოთა ხელის-უფლების მოწინააღმდეგენი მენშევიკები და ყველა სხვა სოციალ-გამყიდველთა პარტიები, რომელნიც ქმნიან სხვა და სხვა პარტიულ კომიტეტებს მუშათა წინაამდეგ საბრძოლველად—რასაკვირველია ისინი მუშათა და წითელ-არმიელთა დეპუტატების საბჭოში არაფერს არ გააკეთებენ გარდა მუშაობის ჩაშლისა და ავანტიურისა, ხოლო არაფერს არ იზამენ მუშათა კლასის დასაცავად,—ამიტომ კრება ადგენს: თფილისის მუშათა და წითელ-არმიელთა დეპუტატების საბჭოს გაუგზავნოს ისეთი წარმომადგენლები, რომელთაც გვაჩვენეს თავი, როგორც ჭეშმარიტმა და მტკიცე დამცველებმა მუშათა კლასისა—კომპარტიის წევრებიდან და პატიოსან უპარტიო მუშათაგან.

გაუმარჯოს ქ. თბილისის მუშათა და წითელ არმიელთა დეპუტატების მე-2 საბჭოს.

გაუმარჯოს საქართველოს კომუნისტურ პარტიას.

არჩევნები.

1. ერთხმად არჩეულ იქნა თბილისის მუშათა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭოს საპატიო წევრად ამხ. ლენინი.

საბჭოს წევრებათ არჩეულ იქნენ:

1. ვასილ იტრიევი—მუშა კომუნისტი.
2. არტაშეს კევორკიანი—ინტელიგენ. კომუნისტი.
3. სევერიან მასხულია—მუშა კომუნისტი.
4 სტეფანე დანდუროვი—ინტელიგენ. კომუნისტი.
5. ემელიანე ჭელიძე—მუშა კომუნისტი.
6. იერქომაიშვილი ნიკოლოზ—მუშა კომუნისტი.
7. მოსე კვარაცხელია— ინტელიგ. კომუნისტი.
8. სობონი—მუშა კომუნისტი.

მათ კანდიდატებათ:

1. ქებურია—მუშა უპარტიო.

მე-2 ე რაიონი.

მე-2 ე რაიონის თამბაქოს ფაბრიკების და კოლოფის ქარხნების მუშა-მოსამსახურეთა შორის შესდგა კრება. დაესწრო დაახლოვებით 1000 კაცამდე.

დღის წესრიგი: 1. მოხსენება ამხ. ნაზაროვისა ქ. ტფილისის მუშათა და წითელ-არმიელთა დეპუტატების საბჭოს ხელახალი არჩევნების შესახებ. 2. საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის ნაკაზი პირველი საკითხის შესახებ კრებამ მიიღო ზევით მოყვანილი რეზოლიუცია.

კრებამ ამასთანავე დაადგინა ტფილისის მუშათა და წითელ-არმიელთა საბჭოს საპატიო წევრებად, არჩეულ იქნენ ამხ. ზინოვიევი და კალანტაი.

ტფილისის მუშათა და წითელ არმიელთა დეპუტატთა საბჭოს წევრებად არჩეულნი არიან:

1. ფრიდონოვი ფრიდონი—მუშა-კომუნისტი.
2. არქიმანდრიტოვი კარაპეტ—მუშა-კომუნისტი.
3. დომენოვა ტატიანა—მუშა-კომუნისტი.
4. ნაზაროვი ალექსანდრე—ინტელ. კომუნისტი.
5. ორახელაშვილი მარიამ—ინტელ. კომუნისტი.
6. ხაჩიკიანი აგასი—მუშა-კომუნისტი.
7. ვართანოვა—მუშა-კომუნისტი.
8. გასვიანი—ინტელიგ. კომუნისტი.
9. პონტიუხოვა—მუშა კომუნისტი.
10. პოლოსოვი—მუშა კომუნისტი.
11. შავერდოვა—ინტ.-კომუნისტი.
12. ბადრიძე—მუშა-კომუნისტი.

მეორე საკითხის შესახებ კრებამ დაადგინა, ნაკაზი ტფილისის კომიტეტისა მიღებულ იქმნას ცნობად.

არსენალის რაიონის მუშა-მოსამსახურეთა შორის.

(არსენალი, საარტილერიო საწყობი, საინჟინერო საწყობი).

შესდგა კრება რომელსაც დაესწრო 900 კაცამდე.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები:

1. ამხ. კევორკიანის მოხსენება ქ. თბილისის მუშათა და წითელ-არმიელთა დეპუტატების საბჭოს არჩევნების შესახებ.

2. საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის ნაკაზი.

კრებამ მოისმინა რა ამხ კევორკიანის მოხსენება ქ. თბილისის მუშათა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭოს ხელ-ახალი არჩევნების შესახებ, ერთხმად (ორმა თავი შეიკავა) მიიღო ზევით მოყვანილი რეზოლიუციის ანალოგიური რეზოლიუცია.

საბჭოს საპატიო წევრებათ არჩეულ იქნენ ამხ. ტროცკი და ენუქიძე.

თბილისის მუშათა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭოს წევრებათ არჩეულ იქნენ (კენჭის ყრის დროს 5 თავი შეიკავა):

1. მამია ორახელაშვილი—ინტელიგ. კომუნისტი.
2. კირილე ოდილავაძე—მუშა კომუნისტი.
3. გალაქტიონ ნუცუბიძე—ინტელიგ. კომუნისტი.
4. სერგო ბოჭორიშვილი—მუშა კომუნისტი.
5. გრიგოლ ხუნდაძე—მუშა კომუნისტი.
6. სარქისოვი—კომუნისტი ახალგაზ. კავშირის წევრი.
7. გეურქოვი—მუშა უპარტიო.
8. სოფიო მამასახლისოვი.
9. თედორე ღლონტი—ინტელიგ. მემარცხენე სოც.-ფედ.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის ნაკაზი ერთხმად იქნა მიღებული.

—

სხვა და სხვა წარმოებებსა და კავშირებში მუშათა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭოს არჩევნების წესი და სია.

მე-4 რაიონი.

ოთხშაბათი 21 ივნისი. 12 საათზე სახელმწიფო ოპერის დარბაზში მედიკო-სანიტარული შრომის მოსამსახურეთა; პროფ-კავშირთა დიდ დარბაზში—მკერავების, საღამოს 6 საათზე—პროფკავშირთა დიდ დარბაზში—სახალხო კვების, შინაურ მოსამსახურეებისა და საქართველოს საგანგებო კომისიის მსროლელთა პოლკისა.

ხუთშაბათი 22 ივნისი. დილის 10 საათზე—პროფ-კავშირთა დიდ დარბაზში—მიწისა და ტყის მუშა-მოსამსახურეებისა.

თბილისის მუშათა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭოს არჩევნების სარაიონო კომისია.

* * *

რადიო-დეპეშები

ესერების პროცესი

მოსკოვი. 19 ივნისი. (რადიო). (რადიო გადმოცემულია ძალიან დამახინჯებულად ატმოსფერული ძლიერი მოვლენების გამო). სხდომაზე (გამოტოვებულია).... ბრალდებული იგნატიევი, ცეკას წევრი (გამოტოვებულია)... შრომის ჯგუფისა, თავის ჩვენებაში ახასიათებს ესერების როლს (გამოტოვებულია).... შეიარაღებული დაცვის მოწყობაში. შემდეგ ბრალდებული ლაპარაკობს უპარტიო ოფიცერთა ორგანიზაციაზე, რომელიც შემდეგ ჩამოყალიბდა ცნობილ „აღორძინების კავშირში", რომელსაც ესერების სამხედრო კომისია შეუთანხმდა საერთო მუშაობის საწარმოებლად. რადგანაც ძალიან ნაკლებობა იყო ფულისა და კაცის (გამოტოვებულია)... მოუთხრობს სასამართლოს იგნატიევი, დასმულ იქნა საკითხი მოკავშირეთა სამხედრო დახმარების შესახებ. გაერთიანებულმა სამხედრო ორგანიზაციამ მაინც გადაწყვიტა მიეღო დახმარება ფულითა და ჯარის კაცებით (გამოტოვებულია)... თუ კი მოკავშირენი უარს იტყოდენ ჩარეულიყვენ შინაურ (გამოტოვებულია).... თუმცა ყველამ წინდაწინ იცოდა, რომ სულ საწინააღმდეგო რამ მოხდებოდა. იგნატიევი შემდეგ ამბობს, რომ მომავალი შეიარაღებული ბრძოლისათვის მოწყობილი იყო (გამოტოვებულია)... იგნატიევი აღნიშნავს, რომ მაშინ ფიქრადაც არავის მოდიოდა, რომ ეს დაქნილი ორგანო ამოეფარებოდა აჯანყების შირმას. მისი ნამდვილი დამნაშავენი არიან ცენტრალური კომიტეტი (გამოტოვებულია)... ჩეხო სლოვაკიის აჯანყებანი (დამახინჯებულია)... მოწყობილი იყო (გამოტოვებულია)... მონაწილეობით—სამხედრო კომისიისა და საფრანგეთის ელჩის ნიულონსისა. ჩეხო სლოვაკიის გამოსვლების შემდეგ საფრანგეთის მისიამ შეიმუშავა (გამოტოვებულია).... ორგანიზაციის გეგმა. ამ გეგმის დამარცხების შემდეგ, საფრანგეთის მისია სხვა საშუალებით გამოვიდა (გამოტოვებულია)... როლში, ყოველგვარად სცდილობდენ უარეყოთ თავისი მონაწილეობა ამ შეთქმულობაში. მაგრამ მოწმესათვის ერთი აზრი გახდა ცხადი (გამოტოვებულია)... ალბერტ ტომა, რომელიც ჩამოვიდა რუსეთში საფრანგეთის მთავრობის დავალებით, ყოველგვარად ეხმარებოდა სხვა და სხვა კონტრ-რევოლიუციონურ ორგანიზაციებს და სხვათა შორის მისცა მენშევიკების ჟურნალ „ედინსტვოს" გამოსაცემად მთავრობის ფულები.

მოსკოვი. 20 ივნისი. საღამოს სხდომაზე აგრძელებს ჩვენების მიცემას ბრალდებული იგნატიევი, რომელიც აკეთებს ორ დამახასიათებელ განცხადებას. ივანოვის გამოსვლის დროს №-ის დივიზიის შტაბში, იგნატიევის განცხადებით არ იყო არავითარი რწმენა, რომ ისინი გამარჯვებული დარჩებოდენ. ადვილი შესაძლებელი იყო, რომ ისეთ კავშირით, როგორც ივანოვს ქონდა №-ის დივიზიასთან გამარჯვება მას დარჩენოდა. ამგვარად მთელი მოძრაობის ბერკეტი მოექცეოდა გერმანიის შტაბის ხელში. თავის ჩვენებათა დასასრულში იგნატიევი აკეთებს მეორე დამახასიათებელ განცხადებას, თავის განცხადებაში იგი ეხებოდა უმთავრესად იმ პიროვნებათა და ჯგუფების პოლიტიკურ დახასიათებას, რომელიც უარს ამბობენ მიიღონ თავის თავზე მორალური პასუხისმგებლობა თავიანთ მოქმედებისათვის, მაგრამ იგი არ ეხებოდა განსაზღვრულ პირთა კონკრეტულ მოქმედებებს. ესერების პარტიის უარის თქმა მორალურ პასუხისმგებლობაზე, იგნატიევის სიტყვით დღემდისაც გრძელდება. ტიმოფეევის განცხადება პროცესის დასაწყისში, იმის შესახებ, რომ ესერების პარტია წინააღმდეგი იყო ინტერვენციისა მაჩვენებელია იმისა, რომ ორპირობის და მორალურ უპასუხისმგებლობის ტაქტიკამ, დღემდე შეინარჩუნა ძალა ესერების პარტიის რიგებში.

საღამოს სხდომის ყველაზე საინტერესო მომენტი იყო ჩვენება დროებითი მთავრობის ყოფ. სამხედრო მინისტრის ვერხოვსკისა. თავის ჩვენებას ვერხოვსკი იძლევა გაბედული და შეუცვლელი ტონით. მოწამე ჩერდება იმაზე, თუ როგორი იყო ოფიცერთა შემადგენლობის განწყობილება ოქტომბრის გადატრიალებამდე და მის შემდეგ, რომელსაც ის ახასიათებს, როგორც დიდი სურვილს, რუსეთის ციხიდან გამოყვანისას, რისთვისაც ოფიცრების დემოკრატიული ნაწილი ფიქრობდა, რომ აუცილებელი იყო ბრძოლა გერმანიასთან და იმ დაქსაქსვასთან, რომელიც თავს დაატყდა არმიას. „ჩვენ მაშინ დარწმუნებული ვიყავით, აცხადებს ვერხოვსკი, რომ არმიის რასკოლშიაც დამნაშავენი არიან ბოლშევიკები. ამიტომ ჩვენ ვსთვლიდით აუცილებლად გვეწარმოებია ბრძოლა ბოლშევიკებთან და გერმანელებთან ერთსა და იმავე დროს და ამ რიგად დაგვეცვა რუსეთის დამოუკიდებლობა. მხოლოდ გერმანიის რევოლიუციისა და სამარაში დამფუძნებელი კრების გარეკვის შემდეგ, როდესაც ფრონტიდან მოდიოდენ იქაური ამბების მონაწილენი ცხადი შეიქნა, რომ რუსეთის დამოუკიდებლობა შენარჩუნებული უნდა იქნეს სხვაგვარ საშუალებით. აქედან გამოტანილ იქნა სათანადო დასკვნები. ვერხოვსკი მოუთხრობს სასამართლოს, რომ შტაბი ეყრდნობოდა ესერების პარტიულ იაჩეიკებს ფაბრიკებსა და ქარხნებში, ამასთან ერთად შტაბს არ აინტერესებდა ოფიცრების პარტიული მისწრაფება, რომელნიც კომენდანტურაში მუშაობდენ; იგი ეყრდნობოდა ყველა იმ ოფიცრებთა ჯგუფებს, რომელნიც მზად იყვენ იარაღით ხელში გამოსულიყვენ გერმანიის საწინააღმდეგოთ.

მისალმება ამხ. ლენინს.

მოსკოვი. 20 ივნისი (რადიო) საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულთა თათბირმა მიმართა მხურვალე სალამით ამხ. ლენინს, რომელიც ერთხმად არჩეულ იქნა თათბირის საპატიო თავმჯდომარეთ.

ჰააგის გარშემო

მოსკოვი. 20 ივნისი (რადიო). ლონდონის პრესა დიდ მნიშვნელობას აძლევს იმ გარემოებას, რომ კორესპონდენტები არ არიან დაშვებული ჰააგის კონფერენციაზე, რომლის სხდომები საიდუმლოთ მიმდინარეობენ.

„მანჩესტერ გარდიენი" აღნიშნავს, რომ ჰააგის კონფერენციის ერთად ერთი მიზანია განიხილოს პრაქტიკული ზომები რუსეთთან ეკონომიური ურთიერთობისათვის თვით რუსების მონაწილეობით. გაზეთი ამტკიცებს, რომ თუ საფრანგეთი უარს იტყვის კონფერენციაზე მონაწილეობის მიღებაზე, შესაძლებელია მუშაობა უიმისოთაც.

გაზეთები იუწყებიან ჰააგაში ლიტვინოვის, კრასინის და რაკოვსკის მისვლას და ფიქრობენ, რომ ინგლისი ჰააგაში გაატარებს თავის პოლიტიკას, საფრანგეთის დამოუკიდებლათ.

ეს პოლიტიკა იქნება შეთანხმებული საბჭოთა მთავრობის მიზნებთან, ვინაიდან ინგლისის ვაჭრობისათვის ძლიერ მნიშვნელოვანია რუსეთის ბაზარი

„მატენი" ს აზრით, საფრანგეთს ურჩევნია სრულებით არ მიიღოს მონაწილეობა ჰააგაში.

რუსეთის დელეგაცია.

რომი. 19 ივნისი (რადიო). ამ ახლო ხანში მოელიან რუსეთის დელეგაციის ჩამოსვლას რაკოვსკის, კრესტინსკისა და სოკოლნიკოვის შემადგენლობით.

კონფერენციის სხდომების შეწყვეტა.

ბორდო. 19 ივნისი (რადიო). ორი სხდომის შემდეგ, რომელზედაც ირჩეოდა საკითხი კონფერენციის მუშაობის მსვლელობის ხასიათის შესახებ, კონფერენციის სხდომები დროებით შეწყდა.

კაპიტალიზმის სამეფოებში

ახლო აღმოსავლეთი.

ბორდო. 19 ივნისი, ინგლისსა და საფრანგეთს შორის მოლაპარაკება, საბერძნეთსა და ოსმალეთის შორის მშვიდობიანობის აღდგენის შესახებ გრძელდება, უკანასკნელ ცნობების მიხედვით განზრახულია ეცნობოს ორივე დაინტერესებულ მხარეს, იმ პრინციპების მიღების სასურველობის შესახებ, რომელიც გატარებულია 26 მარტის კოლექტიურ ნოტაში. თუ ეს არ მოხდება, გადაწყვეტილია გამოქვეყნებულ იქნეს ყველა ის დოკუმენტები, რომელიც ეხება საბერძნეთისა და ოსმალეთის შორის მშვიდობიანობის მომზადებას. საფრანგეთის მთავრობამ განაცხადა, რომ მის უახლოეს მიზანს შეადგენს ახლო აღმოსავლეთში მშვიდობიანობის ჩამოგდება.

ამერიკა და ევროპა.

ნაუენი. 19 ივნისი, გაზ. „ნიუ-იორკ გერალდის“ ცნობით, პრეზიდენტმა გარდინგმა გააგზავნა ევროპაში პოლკოვნიკი ფრიდმანი, ევროპის ეკონომიურ მდგომარეობის გამოსაკვლევად.

წინადადება რუსეთს.

ბორდო. 19 ივნისი, (რადიო) რეველში საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელმა ლიტვინოვმა გადასცა ნოტა წინადადებით მოიწვიონ ესტონეთის, ლატვიის, ფინლიანდიის, პოლონეთის და რუსეთის წარმომადგენელთა კონფერენცია განიარაღების საკითხის განსახილველათ.

საუზმე ჩიჩერინის პატივსაცემათ.

ბორდო. 19 ივნისი, (რადიო). ბერლინში ჩიჩერინის პატივსაცემათ კანცლერმა გამართა საუზმე.

მონარქისტები არ ცხრებიან.

რომი. 19 ივნისი, (რადიო). „ფრაიხაიტი“ იუწყება, რომ გერმანიაში შესდგა საიდუმლო სამხედრო საზოგადოება მონარქიის აღდგენის მიზნით.

მცირე ანტანტის პროტესტი.

ბორდო. 19 ივნისი, (რადიო). „ტან“ ის ცნობებით, მცირე ანტანტის სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა პროტესტით მიმართეს საკავშირთშორისო კომისიას სოფიაში ბოლგარეთის მიერ ვალდებულებათა აუსრულებლობის გამო, რომლებიც შეეხებიან ბიუჯეტს და მომქმედი ჯარის რაოდენობას.

წინააღმდეგობა იტალიელებისადმი.

ნაუენი. 19 ივნისი, (რადიო) დოდეკანელის, ლემინგის და სხვა მახლობელ კუნძულების მცხოვრებლები მიუხედავათ იტალია-საფრანგეთის ხელშეკრულებისა, წინააღმდეგობას უწევენ იტალიის ხელისუფლებას მცხოვრებთა აღწერაში გადასახადის აკრეფის მიზნით.

ვაჭრობენ ნაქურდალით.

ნაუენი. 19 ივნისი, (რადიო). შტუტგარტში მოპარული მხატვრული შედევრი რემბრანტის სურათი „წმ. პავლე საპყრობილეში“ გამოფენილია ლონდონის ხელოვნების გალერეიაში გასასყიდათ.

შალიაპინი მიემგზავრება ამერიკაში.

ნაუენი. 19 ივნისი, (რადიო). რეველიდან მიღებული ცნობებით შალიაპინი გაემგზავრა ამერიკაში.

რუსეთის დელეგაციის განცხადება.

ბორდო. 19 ივნისი (რადიო). კომერციული დელეგაციაც ლონდონში რამზაის და მაკდონალდის წერილების საპასუხოდ აცხადებს, რომ საბჭოთა პრესა ვანდერველდეს სთვლის საბჭოთა რესპუბლიკის მტრად. ამასთანავე ერთად დელეგაცია აცხადებს, რომ პრესა არასოდეს არ მოუწოდებდა მცხოვრებლებს ძალადობისაკენ ვანდერველდეს მიმართ.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აჭარა.

ბათომი. ეპიდემია. ბათომის ქალაქის საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე მოხსენება გააკეთა ექიმმა პაპავამ ეპიდემიის და მასთან ბრძოლის შესახებ. წარსული წლის ოქტომბერში ბათომში გაჩნდა პარტახტიანი ტიფის ეპიდემია, რომელსაც შემდეგი მსვლელობა ქონდა: ოქტომბერში გახდა ავად 6 კაცი, ნოემბერში 25 კაცი, დეკემბერში 29 კაცი, იანვარში 117, თებერვალში—166, მარტში—334, აპრილში—338, მაისში—368. სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატის ბრძოლა ეპიდემიასთან გამოიხატებოდა პოპულიარული ლექციების მოწყობაში ფართო მასსებისათვის. ავადმყოფობის და მისს გამომწვევი მიზესების გასაცნობად. ამავე მიზანს ემსახურებოდა ლოზუნგები და საჯარო ადგილებზე გამოფენილი პლაკატები და აგრეთვე სპეციალური წერილები ადგილობრივ პრესაში. ეპიდემიის გავრცელების და პირველი საავადმყოფოს შევსების შემდეგ გამოყენებული იქნა ხოლერით ავადმყოფობის ბარაკი. სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატმა მოაწყო საეპიდემიო ბარაკი 25 საწოლით, რომელიც შემდეგ გაფართოებული იქნა. ის ფაქტი, რომ პარტახტიანი ტიფის ეპიდემია არ შემცირდა ზაფხულის თვეების დაწყებით, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, აიხსნება ბათომში მრავალი ლტოლვილის ყოფნით, რომელიც უდრის 15,000 კაცს. ლტოლვილები ნამდვილი ბუდეა გადამდებ სენისა ბათომში, და ისინი უსათუოდ გაყვანილი უნდა იქნენ ქალაქის საზღვრებიდან. სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატმა მიიღო აგრეთვე ზომები, რათა აკრძალულ იქნეს ბათომის ბაზრებზე ძველი საცვლებით და ტანთ-საცმელებით ვაჭრობა, თუ ეს ნივთები არ არის გატარებული სადეზინფექციო კამერებში. ლტოლვილების მოგროვება ძლიერ ემუქრება ბათომს ხოლერის ეპიდემის გაჩენით. ამ მიზნისათვის სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატი ამზადებს ხოლერის ბარაკებს, დამზადებულია სადეზინფექციო მასალები და სწარმოებს ხოლერის საწინააღმდეგო აცრა. განსაკუთრებული დადგენილების მიხედვით, რომელიც გადაცემულია ყველა ნავთსადგურებში, ეკრძალებათ ბათომში შემოსვლა ყველა იმ პირებს, ვისაც არ აღმოაჩნდებათ ხოლერის საწინააღმდეგო აცრის გაკეთების საბუთები. სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატისათვის საჭიროა სასანიტარო ავტომობილის მიცემა გადამდებ სენით დაავადმყოფებულების გადასაყვანად. რაც შეეხება მალარიასთან ბრძოლას, საჭიროა განაპირა ტბების მორწყვა მაზუთით და ნავთით კოღოს მოსასპობად. საჭიროა სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატმა გამოძებნოს საშუალებანი, წინააღმდეგ შემთხვევაში ეპიდემიასთან ბრძოლა ძლიერ გაძნელდება. ქალაქის საბჭოს პლენუმმა მიანდო პრეზიდიუმს მოხსენების მიხედვით რეზოლიუციის გამომუშავება, რომლის საფუძვლად უნდა იყოს შემდეგი აუცილებელი ზომების მიღება: 1) ლტოლვილების გაყვანა, ქალაქის გარეთ, 2) ხოლერის საწინააღმდეგო აცრის ფართო მასშტაბით მოწყობა, 3) მორწყვა განაპირა ტბიან ალაგების მაზუთით და ნავთით მალიარიის სენის მოსასპობლად, 4) საერთო გაუმჯობესება ქალაქის სანიტარული მდგომარეობისა, 5) სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატისთვის საჭირო გადამტანი საშუალების დათმობა, 6) განსაკუთრებული სანიტარული გადასახადების შემოღება ბათომის მცხოვრებთა შეძლებულ კლასსების ანგარიშზე.

მე-2 ელექტრონ. სადგურის მუშაობა.

ქალაქის მეორე ელექტრონის სადგურმა (ყოფილი ფეფელოვისა), მაისის განმავლობაში იმუშავა 285 საათი. დახარჯულია 300 ფუთი სათბობი მასალა, 30 ფუთი სამანქანო ზეთი და 23 ფუთი ნავთი. სულ სადგურმა გამოიმუშავა 8.100 კილოვატ საათი.

ქალაქის სასაკლაოზე აპრილის განმავლობაში ქალაქის სასაკლაოზე დაკლულია 1344 თავი პირუტყვი. აღებულია დასაკლავი გადასახადი 100.415.000 მან, და შესამოწმებელი 46.057.000 მან. დაკლულია 410 თავი პირუტყვი უფასოდ გარნიზონის საჭიროებისათვის.

ბინების შემფასებელი კომისია. დაიწყო მოქმედება ქალაქის სამეურნეო განყოფილების შემფასებელმა კომისიამ საბინაო ფასების მოსაწესრიგებლად.

ხულოში. მენშევიკების დროს სოფ. ხულოში მოწყობილი იყო საზეინკლო სადურგლო სახელოსნო, რომელიც აწარმოებდა სასოფლო მეურნეობისათვის საჭირო მანქანების გაკეთებას და მათ შესწორებას; აგრეთვე აკეთებდა საფუტკრო ყუთებს და სხვაგვარ საჭირო ნივთებს მეფუტკრეებისათვის. მაგრამ ამ სახელოსნოს მოქმედება დიდხანს არ გაგრძელებულა, ვინაიდან უმეტესი ნაწილი სამუშაო იარაღებისა გაიტაცეს მცხოვრებლებმა და სახელოსნო უპატრონოდ დარჩა მიგდებული. სახელოსნოს აღსადგენად შესდგა სპეციალური კომისია, რომელიც შეუდგა გატაცებული სამუშაო იარაღების შეკრებას. კომისიამ წარმატებით იმოქმედა, თითქმის ყველა სამუშაო იარაღები მოძებნილია და ამ ჟამად სწარმოებს მუშაობა სახელოსნოს მოქმედების აღსადგენად. სამკურნალო საქმე ხულოს თემში ცუდ მდგომარეობაში იმყოფება. მიუხედავად სრულიად აჭარის ფუქარა ხალხის კომიტეტების პირველი ყრილობის დადგენილებისა ყველა სოფლებში სამკურნალო პუნქტების მოწყობის შესახებ, სოფლები აქამდი სამკურნალო დახმარებას ვერ ღებულობენ. არის მხოლოდ ერთი ამბულატორია ხულოში და ერთი საფერშლო პუნქტი გარეჯმის რაიონში, მაგრამ იქაც სათანადო მასალა არ მოიპოვება. მცხოვრებლებს ძლიერ ეჭირვებათ სამკურნალო დახმარება, და ბათომიდან ჩამოსულ ამხანაგებს სთხოვენ დააჩქარონ ყრილობის დადგენილების სისრულეში მოყვანა.

აზერბეიჯანი.

ბაქოს ბაზრობა. ბაქოს ბაზრობის პრეზიდიუმის სრულ უფლებიანმა წარმომადგენელმა ამხ. სლავინმა შეატყობინა კავროსტას თანამშრომელს შემდეგი: ბაზრობა გაგრძელდება 1 ოქტომბრამდე. ბაქოს ბაზრობის ინიციატივა ეკუთვნის ბაქოს საბჭოს. მისი მიზანია—მიიზიდოს მახლობელ ბაზრებიდან, ადგილობრივი და უცხოეთის სპარსეთისა და კონსტანტინეპოლის სასურსათო პროდუქტები აზერბეიჯანში, გააძლიეროს საქონლის მოზიდვა, განამტკიცოს ეკონომიური კავშირი მეზობელ ბაზრებთან. ბაზრობა მოწყობილია ნიჟეგოროდის ბაზრობის მზგავსად. ბაქოს საბჭოსგან გაცემულია იარმარკისთვის საწყობები, ბინები და ახალი საბაჟოს ნავთსაგური, რომელსაც უერთდებიან რკინის გზის ყველა ხაზები და გემები. ბაზრობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი არიან ადგილობრივი სამეურნეო დაწესებულებანი და მსხვილი მწარმოებლები. წინადადება მიეცათ აგრეთვე მსხვილ დაწესებულებებს და გამოჩენილ ვაჭრებს სპარსეთში, საქართველოში, სომხეთში, მოსკოვში, როსტოვში, და სხვა.. სამრეწველო ცენტრებში პრეზიდიუმისაგან გაგზავნილი განსაკუთრებული რწმუნებულები იმ მიზნით, რომ მოიზიდონ ბაზრობაში მონაწილეობის მისაღებად სამეურნეო ორგანოები, დაწესებულებანი და კერძო ვაჭრები. არის აგრეთვე კავშირი ტურკესტანთან, სადაც გაგზავნილია საგანგებო რწმუნებული. ბაზარზე მოელიან დიდძალ პარტიებს სავალიუტო საქონელს—ნედლეულობას ტურქესტანიდან, აბრეშუმს, ბამბას, მანუფაქტურას. ჩამოტანილი იქნება დიდძალი პარტია რკინისა, ლურსმნისა და სხვაგვარ საქონლისა, რომელიც საჭიროა სპარსეთის ბაზრებისთვის. ბათომიდან საჩქაროდ გადმოტანილი იქნება დიდძალი პარტიები ყავის, შაქრის, კაკაოსი და სხვა სანოვაგე ნივთეულებისა. ბაქო, როგორც ცენტრალური პუნქტი სპარსეთის, თურქესტანის, რუსეთის, საქართველოს და სომხეთს შორის, სადაც თავს იყრიან ყველა მხრის რკინის გზების და საზღვაო ხაზები, წარმოადგენს ძლიერ მოხერხებულ ადგილს მაზრებისათვის, სადაც შედარებით მცირე ხარჯების გაწევით შეიძლება შეჯგუფება საჭირო საქონლისა, და აგრეთვე იოლად მოსახდენია მოკლე ხანში აქიდან საქონლის გადაგზავნა სხვა და სხვა ქვეყნებში გასავრცელებლად. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სპარსეთის ვაჭრები ძლიერ დაინტერესებული არიან იარმარკით. მათთან მჭიდრო კავშირის განმტკიცებას საბჭოთა ფედერაციისთვის ეკონომიურად დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც ფაბრიკატების გასავრცელებლად რუსეთში, აგრეთვე სპარსეთიდან სანოვაგე საქონლის მიზიდვისათვის. შესაძლებელია, ბაზრობა გაგრძელდეს ერთ თვეზე მეტი. ბაზრობის კომიტეტი შესდგება 24 წევრისაგან:

კომიტეტის პრეზიდიუმში შევიდენ ამხ. პარუშინი, ნოვიკოვი, ილიუშკინი, რუსტამბეკოვი, ალიევი, სლავინი და გ. ალიევი.

პროლეტარიატი ესერების შესახებ.

მთელ რიგ ორგანიზაციებში, როგორც კავკასიის კორპუსის თანამშრომლების, კურსანტების, კომანდირთა და პოლიტიკური შემადგენლობის, საქვეითო ტყვიამფრქვეველი საკომანდო კურსების, ბაქოს სამხედრო-საზღვაო ნავთსადგურის მუშების და მოსამსახურეების კრებებზე გამოტანილია ერთხმად რეზოლაუციები, რომლებიც მოითხოვენ ესერების სასტიკ დასჯას.

საყოველთაო გადასახადი.

ორკვირეულის განმავლობაში დამშეულთა დახმარების საქმის გამოსაკვლევად და გასაძლიერებლად ქალაქ ბაქოში და მის რაიონებში მოხდება გადასახადის გადამხდელთა რეგისტრაცია დამშეულების დასახმარებლად. რეგისტრაციას აწარმოებს აზერბეიჯანის კომუნისტური ახალგაზრდა კავშირის კომიტეტის წევრები რაიონული ფინანსთა ინსპექტორების ხელმძღვანელობით.

შეწერა კოოპერატიულ დაწესებულებებზე.

აზერბეიჯანის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო ფინანსთა კომისარიატის მიერ შეწერილია აზერბეიჯანის კავშირების დაწესებულებებზე, ისეთი მაღალი გადასახადები, რომ შესაძლებელია ამ დაწესებულებების დახურვა. აზერბეიჯანის კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის მიერ განზრახულია სახალხო ფინანსთა კომისარის დადგენილების გასაჩივრება

ქრონიკა

◆ **ახალი გაზეთი.** ოცი ივნისიდან თბილისში იწყო გამოსვლა ყოველდღიურმა დიდმა გაზეთმა რუსულ ენაზე: „აღმოსავლეთის განთიადი“ („Заря Востока“), რომელიც არის ორგანო რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის და ამიერ კავკასიის ს. ს. რესპუბლიკების საკავშირო საბჭოსი.

◆ **ომში დაჭრილ დასახიჩრებულთა კავშირის გამგეობისაგან** ს. ს. ს. რ. ომში დაჭრილ-დასახიჩრებულ მეომართა კავშირის გამგეობა აუწყებს კავშირის წევრთ, რომ ა. წ. ივნისის 23, პარასკევს საღამოს 5 საათზე, კავშირის სადილოში (პლეხანოვის პრ. № 83) დანიშნულია კავშირის წევრთა საზოგადო კრება. დღის წესრიგი: ქალაქის მუშათა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოში დეპუტატების არჩევა.

◆ **დაიკარგა** მარიამ სოლომონის ასულ ზედგენიძის სახელზე გაცემული პასპორტი, საპენსიო წიგნაკი და პროფკავშირთა წიგნაკი. ჩაითვალოს გაუქმებულად.

◆ **დაკარგული ბავშვი.** ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ: ბავშვი სერგი ისაკის ძე მესხრიკაძე (მცხოვრები ქ. ახალციხის) დაკარგული ოთხი წლის წინად ამ ჟამად იმყოფება სოფელ აცანის (ოზურგეთის მაზრა) აღმასკომის განკარგულებაში; როგორც ბავშვი ამბობს, მას ყოლია ქ. თბილისში ძმა გრიგოლი—მეჩექმე. თუ ჰყავს ამ ბავშვს მშობლები ან ნათესავები მოიკითხონ ხსენებული ბავშვი აცანის თემის აღმასკომში.

◆ **აბასთუმნის კურორტ სანატორიუმის სამმართველოსაგან** კერძო მოაგარაკეებისათვის, აბასთუმანში იშოვება სამი კატეგორიის ოთახები დაწყებული 1 მილიონ მანეთიდან. აბასთუმანში ჩამოსვლისას მოაგარაკეებმა უშუალოდ უნდა მიმართონ კურორტ-სანატორიუმის სამმართველოს დროებით დადგომა შეიძლება ყოფ. კანციევის ნომრებში.

◆ **ომში დაჭრილ დასახიჩრებულთა კავშირისაგან.** „თანახმად ა. წ. 12 ივნისის დადგენილებისა, ომში დაჭრილ დასახიჩრებულთა კავშირის სარევიზიო კომისია წინადადებას იძლევა, რომ იმ პირთ, რომელთაც წაღებული აქვთ ოდესმე რაიმე ქონება კავშირისა, აუცილებლათ წარმოადგინონ კავშირში ორი კვირის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა; წინააღმდეგ შემთხვევაში მათი გვარები გამოცხადებული იქნება პრესაში და პასუხისგებაში მიეცემიან კავშირის წევრთა უახლოვეს საერთო კრებაზე“.

კავშირის სარევიზიო კომისია.

— **საქონლის ჭირთან ბრძოლა.** მიმდინარე წლის პირველ კვირაში მსხვილ-ფეხა საქონლის ჭირი არსებობდა რესპუბლიკის შემდეგ სოფლებში: კასპში, გორის მაზრაში, კიზილ-კილისში და დაგ-არუხლოში, ბორჩალოს მაზრაში, ახალ ქალაქის მაზრის სოფლებში—ეშტიაში, ტროიცკში, კოთიკომში, ალავერდში, ყარზახში, ხიზაბავრაში, საროში, ბავრში, ბომონში, ხოდეთში, ერთნჯაში, ოყამში, ქოთელიაში და გორელომში. ჭირის საწინააღმდეგო აცრა პირუტყვათვის სწარმოებდა სოფლებში: კასპში, ქოთელიაში, ტროიცკში და ეშთიაში.

პარტიული ცხოვრება

ქალაქ ხაშურის აღმასკომის კომიაჩეიკა.

13 ივნის შესდგა ქ. ხაშურის აღმასკომის კომიაჩეიკის სხდომა, რომელსაც დაესწრო მთელი იაჩეიკის შემადგენლობა. კრებას თავმჯდომარეობდა ამხ. ს. პაქსაშვილი, მდივნად იყო ამხ. ალ. ქებაძე. დღის წესრიგში იყო. მოხსენება მიმდინარე მომენტზე. მომხსენებელი შეეხო ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერატიულ კავშირს, შეეხო მის კონსტრუქციას და იმ მძიმე მუშაობას, რომელსაც ფედერატიული კავშირი აწარმოებს ამიერ-კავკასიის ერთა შორის იმ შოვინისტური შუღლის მოსასპობლად, რომელიც იყო ჩანერგული ამიერ-კავკასიის ნაციონალისტურ და სოციალისტ გამყიდველ პარტიების მიერ; შეეხო მომხსენებელი ვრცლად გენუის კონფერენციას და მის შედეგებს, შემდეგ გადავიდა ესერების პროცესზე, რომელიც ახლა ხდება ქ. მოსკოვში. ამხანაგმა მიუთითა დამსწრეთ, რომ ესერების პროცესი ეს არის ორი ქვეყნის ერთი მეორესთან შეჯახება. აქ საბჭოთა სასამართლო დაანახვებს პროლეტარიატს, თუ რანაირად ყიდდენ დანარჩენი პარტიები, გარდა კომუნისტურ პარტიისა, მის ინტერესებს და სწორეთ ეს პროცესი საერთაშორისო პროლეტარიატში ასწევს საბჭოთა ძალა უფლების და კომუნისტურ პარტიისკენ მისწრაფების პროცესს და ნიღაბს ახდის შემთანხმებელ პარტიების მოღალატეობას. შემდეგ მომხსენებელი შეეხო საბჭოთა მთავრობის აღმშენებლობას, როგორც ამიერ-კავკასიაში, ისე საბჭოთა რუსეთში, ვრცლად განმარტა ახალი ეკონომიური პოლიტიკა და მისი შედეგები, რის შემდეგ იქმნა მიღებული შემდეგი რეზოლიუცია: მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. ალექსანდრე ქებაძისა, ჩვენ ყველა წევრები აღმასკომის კომიაჩეიკისა ვეგებებით საბჭოთა დელეგაციის მიერ გენუის კონფერენციაზე პროლეტარიატის ინტერესების ბრწყინვალე დაცვას, მასთანავე მივიღებთ ყოველივე ღონეს და ვაწარმოებთ ფართო აგიტაციას უპარტიო და ჩვენ მოწინააღმდეგე პარტიაზე მიმდევარ მასასთან, რათა ისინი დავაყენოთ სწორ გზაზე და ავაცდინოთ ყოველივე ის განსაცდელი რასაც მათ მიაყენებს ჩვენი მოწინააღმდეგეების კონტრ-რევოლიუციონური მუშაობა; მასთანვე აღუთქვამთ საბჭოთა მთავრობას, რომ ვიხმართ ყოველივე ძალას, რათა ყოველივე მათი დადგენილებანი გავატაროთ ცხოვრებაში დაუყოვნებლივ.

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს საბჭოთა ძალა უფლებას!

გაუმარჯოს წითელ არმიას!

გაუმარჯოს III კომუნისტურ ინტერნალს!

სანდრო.

მარტვილის რაიონი. (სენაკის მაზრა).

ამ უკანასკნელ ხანებში მარტვილის რაიონის ორგანიზაციას ეტყობოდა სისუსტე. ამის გამო 18 მაისს ა. წ. რაი-პარტკომის პლენუმის სხდომაზე იქნა გამოტანილი დადგენილება ორგანიზაციების განსამტკიცებლად კვირეულის ჩასატარებლად (აგრეთვე მისი რიგების გასაწმენდად) კომპანიის ჩატარება გაგრძელდა ა. წ. 21 მაისიდან 31 მაისამდე. პარტ-კომპანიის დამთავრების შემდეგ მთელს რაიონში (ოთხ თემში, მეხუთეს გამორიცხვით). პარტიიდან გამორიცხულია, თემის ორგანიზაციის დადგენილებით და რაიპარტკომის დასტურით (რომელიც წარუდგინა მაზრკომს დასამტკიცებლად) 17 პარტიის წევრი და კანდიდატი, რომლებსაც პარტიაში შემოქონდათ დაშლა და რღვევა. პარტიის რიგების გაწმენდამ ჩვენი ორგანიზაცია (მარტვილის) განამტკიცა და შეადუღა მთლიან ერთეულში და ამავე დროს გააძლიერა უპარტიო მასსების სიმპატია ჩვენი ორგანიზაციისადმი. იმედია, მაზრკომი დიდი ყურადღებით მოეკიდება ამ საკითხს.

ი. მონიავა.

პროვინციაში

სოფელი ბაჯი. (რაჭის მაზრა).

6 ივნისს სოფელ ბაჯის მცხოვრებლებმა შეიტყვეს საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის ფინანსთა კომისრის ამხ. ალექსანდრე სვანიძის გამოსვლა. იმავე დღეს საღამოზე შესდგა მრავალ რიცხოვანი კრება. მოხუცი, თუ ახალგაზდა, ქალი თუ კაცი სახლში არავინ დარჩენილა და ყველა გამოცხადდა კრებაზე. კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ლ. ქარაზანიშვილი. ტრიბუნაზე გამოდის ამხანაგი ალექსანდრე, რომელსაც ხალხი აღტაცებით ეგებება. მოხსენებას აკეთებს: 1) მიმდინარე მომენტზე, 2) გენუის კონფერენციაზე, 3) სასურსათო საკითხზე და სხვა, რითაც ხალხი ძლიერ კმაყოფილი დარჩა.

ლ. ქარაზანიშვილი.

ზუგდიდის მაზრა.

ზუგდიდის მაზრა შესდგება შვიდი ადმინისტრატიული რაიონისაგან. თავისი ადგილ-მდებარეობით ის იყოფა ორ ნაწილად; პირველი—მთაგორიანია და მცირე შემოსავალს იძლევა, ამიტომ ნაწილი გლეხობისა იძულებულია აფხაზეთში ეძებოს სახნავ-სათესი მიწები, მეორე—კი გაშლილია მდინარე ინგურის, ხობის წყლის და შავი ზღვის ნაპირებზე და ცნობილია მთელს მაზრაში თავისი ნოყიერი ნიადაგით, განსაკუთრებით დარჩელის და ხობის რაიონების. ადგილები ასაზრდოებს სიმინდით მაზრის მთაგორიან ნაწილს.

შარშანდელმა ხანგრძლივმა გვალვებმა და შემოდგომის განუწყვეტელმა წვიმებმა დიდი ზიანი მიაყენეს ყანებს. ამას ზედ დაემატა სტიქიური უბედურება, რომელიც თავს დაატყდა დარჩელის რაიონს, ჩვენი მაზრის სიმინდის ბეღლად წოდებულს, წყალდიდობისა—გამო. მდინარე ინგურმა ამ რაიონის თითქმის ნახევარი წალეკა და დღესაც წყლითაა დაფარული. ამნაირად შარშან ჩვენი კუთხე დიდად დაზარალდა და სიმინდის მოსავალიც ცუდი იყო. მიუხედავათ ამისა, რაც იყო მოსავალი ზუგდიდის მაზრას მაინც ეყოფოდა, მაგრამ სხვა და სხვა დამშეულ კუთხეებიდან აურეველი ხალხი მოაწყდა და მთლად გაზიდა სიმინდი. დღეს რას ვხედავთ? მაზრა დაცარიელებულია, მეფე-შიმშილმა უკვე გაშალა თავისი ჯოჯოხეთური ფრთები, მცხოვრებთა 35 პროც. დამშეულია (ზუგდიდის მაზრაში მცხოვრებთა რიცხვი 150 ათასამდე აღწევს). ყოველ დღე ასობით აწყდებიან დამშეულები ადგილობრივ აღმასკომს. ჯერჯერობით დახმარება არსაიდან სჩანს. დამშეულთა [illegible] დასაკმაყოფილებლად საჭიროა არა ნაკლები 15 ვაგონი სიმინდის.

საჭიროა დამშეულთა მთავარ კომიტეტმა დაუყონებლივ აღმოუჩინოს ჩვენს მაზრას სათანადო დახმარება თორემ შემდეგ გვიან იქნება.

ჩვენში კარგი, ამინდებია, ყანებს საუცხოვო პირი უჩანს, მოსალოდნელია კარგი შესანიშნავი მოსავალი, რომელსაც შეუძლია ბევრი სხვა მაზრების გამოკვებაც. მხოლოდ ეხლა კი ზუგდიდის მაზრას უჭირს, და მას უნდა მივეშველოთ.

გრიშა მეგრელი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ცირკულიარულად.

ყველა სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს.

ანგარიშების წარმოდგენის შესახებ.

ზოგიერთი თემი აქამდისინ გზავნის თავის აღმასკომების სხდომების ოქმებს და ანგარიშებს უშუალოდ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში, მიუხედავათ იმისა, რომ უკვე გამოცემულ ცირკულიარის თანახმად ყველა მასალები თემების აღმასკომების მუშაობის შესახებ უნდა გროვდებოდეს და მუშავდებოდეს სამაზრო აღმასკომებში.

ამის გამო გეძლევათ წინადადება, მიიღოთ ღონისძიება, რათა თემების აღმასკომების ოქმები და ანგარიშები ეგზავნებოდეს მხოლოდ სამაზრო აღმასკომს, ხოლო უკანასკნელი ვალდებულია პერიოდულად უგზავნოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს საერთო ცნობების კრებული, რომელშიაც უნდა იყოს მოთავსებული სამაზრო აღმასკომის სხდომების ოქმები, ანგარიშები, ყრილობების შედეგები, სრული ანგარიში შინაგან მმართველობის განყოფილების მოქმედებისა და ამოწურული დანარჩენი განყოფილებათა მილიციითურთ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილე **ტალახაძე.**

საქმეთა მმართველი **დ. ჩიქოვანი.**

საინსტრ. საინფორ. განყ. გამგე

შ. დადიანი

ცირკულიარულად.

ყველა სამაზრო და საქალაქო აღმასრულებელ კომიტეტების საინსტრუქტორო საინფორმაციო ქვეგანყოფილებებს.

ანგარიშების წარდგენის შესახებ.

გეძლევათ წინადადება აუცილებლივ **ხუთ ივლისისათვის** წარმოადგინოთ ანგარიშები აღმასკომის შინამმართველობის განყოფილების მოღვაწეობისა დღიდან საქართველოს საბჭოთა არჩეულ ორგანოების დაფუძნებისა.

სახელმძღვანელოთ მიღებულ უნდა იქნას შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის ცირკულიარი აღმასკომებს „საინსტრუქციო-საინფორმაციო ქვეგანყოფილებათა მოღვაწეობის შემოფარგვლის შესახებ“, დაბეჭდილი ჟურნ. „მოამბე“-ში, № 32, 29 მაისი 1922 წლ. მეოთხე ნაწილი, რომლის ძალითაც გევალებათ წარმოდგენა ცნობებისა მაზრის პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ, მაზრაში სურსათთესვის და სხვ. კომპანიების ჩატარების, სხვა და სხვა ეროვნებათა დამოკიდებულების შესახებ და სხვა. (§§ 11—14, 17).

აგრეთვე, თუ გაქვთ ცნობები შინა-მმართველობის განყოფილების გარდა აღმასკომის სხვა განყოფილებათა მოღვაწეობის შესახებაც, დაუყოვნებლივ მოგვაწოდეთ ეგ ცნობებიც აღნიშნულ ვადაზე ე. ი. 5 ივლისისათვის.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე **ტალახაძე.**

საქმეთა მმართველი **დ. ჩიქოვანი.**

საინსტ. საინფ. განყოფ. გამგე

შ. დადიანი.

სარედაქციო კოლეგია

გულ დამწვარნი: დედა ეფროსინა, დები: ოლღა, აგრაფინა და მარიამი, ძმები: კალისტრატე, ბიქტორი, ლევანი, ვარლამი, მინა, გრიგოლი, შალვა და ნესტორი და სიძეები: ივლიანე ხოფერია და რაფაელი დვალი ცოლშვილებით აუწყებენ ნათესავებს, ამხანაგ მეგობრებს და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

მიხეილი (მიშა) გიორგისძე გერიძე

პანაშვიდი ყოველ-დღე საღამოს 7 საათზე, ანდრეევის ქ., ს. № 21.
დასაფლავების დღე გამოცხადებული იქნება ცალკე
1—1

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი
ვეტერინარ ბაქტერიოლოგიურმა ლაბორატორიამ დაამზადა
ციმბირის ჭირის (Сибирская язва)
საწინააღმდეგო 1 და 2 ვაკცინები
დოზა ვაკცინისა ღირს 5.000 მანეთი.
ლაბორატორია აწარმოებს ყოველგვარ
დიაგნოსტიურ გამოკვლევებს
(ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულს)
აქვე შეიძლება შეძენა გამოხდილი (Дистилированная) წყალისა.
კობის ქუჩა № 9. 5—1

იმათ საყურადღებოთ, ვისაც სურს აბასთუმანში
საექიმოთ წასვლა
ცხადდება, რომ კურორტის სამმართველოს განკარგულებაში არის
თავისუფალი ოთახები
რომელთა ქირა სამ კატეგორიად იყოფა—ერთ მილიონიდან ხუთ მილიონამდე. მსურველმა ჩასვლისთანავე უშუალოთ უნდა მიმართოს კურორტის სამმართველოს. დროებით გაჩერება შეიძლება ყოფ. კანციევის სატუმროში.
1—1 კურორტის გამგე მეძმარიაშვილი.

სახალხო კვების და საზოგადო ბინების
პროფკავშირთა ცენტრალური გამგეობა, ამით აცხადებს, რომ ოთხშაბათს, 21 ივნისს, საღამოს 6 საათზე, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში (მუშათა სასახლეში) დანიშნულია
კავშირის წევრთა საზოგადო კრება.
წევრთა დასწრება სავალდებულოა.
დღის წესრიგი: მუშათა და წითელ არმიელთა საბჭოს არჩევნები.
თუ პირველ კრებას არ დაესწრო წევრთა საკმაო რიცხვი, მეორე კრება დანიშნული იმავე დღის საღამოს 7 საათზე, კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს.
სას. კვების და საზ. ბინების პროფკავშირის ცენტრალური გამგეობა.

დაიკარგა
მოწმობები მოცემული სახალხო სამხედრო საზღვაო კომისარიატის შტაბიდან ა.წ. 4 თებერვალს № 264. და თბ. სახელმწიფო უნივერსიტეტის № 149 დიმიტრი ბარნოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1

ტირაჟი 10,000. ნ. დ. ს. ც.
საქართველოს უმაღლეს სახალხო მეურნეობის საბჭოს პოლიგრაფიულ განყოფილების მე-2 სტამბა, კრუზენშტერნის ქ. № 4.